



Tbilisi Open Teaching University

დამტკიცებულია  
აკადემიური და წარმომადგენლობითი  
სენატის 2018 წლის 22 იანვრის  
№77 დადგენილებით

## საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ორიენტირებულია მუდმივად იყოს ჩართული უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო და კვლევით პროცესში. ბიბლიოთეკის თანამონაწილეობა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში გულისხმობს:

- სტუდენტების, აკადემიური/სამეცნიერო და სხვა პერსონალისთვის საბიბლიოთეკო მომსახურებისა და რესურსის შეთავაზებას სასწავლო/კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად;
- ბიბლიოთეკის მომხმარებელთა ინტერესებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებას;
- მკითხველთა მოთხოვნების გათვალისწინებით, ბიბლიოთეკის ფონდების შევსებას და ახალი სერვისების დანერგვას;

აღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად უნივერსიტეტი თავისი ფონდების/კოლექციებისა და სერვისების განახლებასა და განვითარებას ახდენს:

ა. უნივერსიტეტის შიდა სტრუქტურულ ერთეულებთან (სკოლები, სამეცნიერო - კვლევითი ცენტრები, ხარისხის სამსახური, სასწავლო დეპარტამენტი) თანამშრომლობით, აღნიშნული სამსახურებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, სასწავლო პროგრამებისა და სილაბუსების მიხედვით, ადგენს საჭირო სასწავლო და კვლევითი რესურსების (წინგადი ფონდი, სამეცნიერო ბაზები ან სხვა რესურსები) შექმნა/განახლებას ან გარკვეული, კონკრეტული საჭიროებებიდან და ინტერესებით განპირობებული სერვისების შემუშავებას;



ბ. თვითშეფასებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მომხმარებელთა მოთხოვნების, საჭიროებებისა და ინტერესების იდენტიფიცირებას და მაქსიმალურად გათვალისწინებას ბიბლიოთეკის რესურსების/სერვისების განახლებისა და დაკომპლექტების პროცესში.

აღნიშნულის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მიმართავს გამოკითხვის მეთოდს. გამოკითხვების ანალიზის შედეგად ხდება როგორც რაოდენობრივი, ასევე, თვისებრივი მაჩვენებლების დადგენა. გამოკითხვები ტარდება შერჩევითი პრინციპით წელიწადში სხვადასხვა დროს, სხვადასხვა დღეს, სხვადასხვა საათზე;

კითხვარების შინაარსი აგებულია იმგვარი პრინციპით, რომ მოხდეს ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისა და რესურსის ისეთი მაჩვენებლების შეფასება, როგორიცაა:

- სტუდენტთა/აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის რეალური საჭიროებები;
- რა ჯგუფები სარგებლობენ ძირითადად საბიბლიოთეკო მომსახურებით;
- რატომ იყენებენ ან არ იყენებენ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართული პირები ბიბლიოთეკას;
- აკმაყოფილებს თუ არა მკითხველთა ინტერესებს ბიბლიოთეკაში არსებული რესურსი/სერვისი;
- რა სახის მასალებზეა მოთხოვნა უმეტესწილად;
- რა სახის მასალები/ სერვისები სურთ რომ არსებობედეს დამატებით ბიბლიოთეკაში;

გამოკითხვების ანალიზის შედეგად ხდება ბიბლიოთეკის განახლებისა და გამდიდრებისათვის შესაბამისი სტრატეგიების შემუშავება:



საბიბლიოთეკო რესურსისა და მომსახურების შეფასება

2017

კითხვარის შევსებით დაეხმარებით თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას შეაფასოს, რამდენად აკმაყოფილებს და მოიცავს მკითხველთა საჭიროებებსა და ინტერესებს.

თქვენ მიერ გაცემული პასუხები და შემოთავაზებული წინადადებები დაგვეხმარება, მოვახდინოთ ჩვენი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და დავსახოთ სამომავლო სტრატეგია სუსტი და ნაკლოვანი მხარეების გასაუმჯობესებლად.

1. რა პოზიცია გიკავიათ თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში
  - ა. ბაკალავრიატის სტუდენტი
  - ბ. მაგისტრატურის სტუდენტი
  - გ. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი
  - დ. მოწვეული აკადემიური პერსონალი
  - ე. ადმინისტრაციის თანამშრომელი
2. თქვენი ასაკი
  - ა. 16-25
  - ბ. 26-50
  - გ. 51-ს ზემოთ
3. სქესი
  - ა. მდედრობითი
  - ბ. მამრობითი
4. თუ ხართ უნივერსიტეტის სტუდენტი, გთხოვთ, გვიპასუხოთ, საშუალოდ როგორია თქვენი აკადემიური მოსწრება
  - ა. მაღალი
  - ბ. საშუალო
  - გ. დაბალი
5. გთხოვთ, მუთითოთ ზოგადად რომელი ბიბლიოთეკით/ებით სარგებლობთ ხოლმე უმეტესწილად. შეგიძლიათ მიუთითოთ რამდენიმე მათგანი
  - ა. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
  - ბ. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა
  - გ. სხვა საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა
  - დ. ელექტრონული ბიბლიოთეკა
  - ე. პირადი ბიბლიოთეკა
  - ვ. სხვა დააკონკრეტეთ -----
6. რა მოგწონთ ამ ბიბლიოთეკებში ყველაზე მეტად
  - ა. რესურსების სიმდიდრე
  - ბ. მომსახურების მაღალი დონე
  - გ. გარემო
  - დ. სამივე ერთად
7. რამდენად ხშირად სარგებლობთ ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით
  - ა. ყოველდღიურად
  - ბ. კირაში ერთხელ ან ორჯერ
  - გ. თვეში ერთხელ
  - დ. სემესტრში ერთხელ



ე. არასდროს მისარგებლია

**8. რამდენად საკამრისია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები თქვენთვის**

ა. სრულიად საკამრისია

ბ. სასურველია გაიზარდოს სამუშაო საათები

გ. ჩემთვის სულ ერთია

**9. რომელი სერვისით სარგებლობთ ჩვენს ბიბლიოთეკაში ყველაზე ხშირად**

ა. მიმაქვს წიგნი ან სხვა მასალა სახლში სარგებლობისთვის

ბ. ვაკეთებ ქსეროასლებს

გ. ვემუშაობ სამკითხველო დარბაზში

დ. ვეცნობი ელექტრონული წვდომის მასალებს

ე. ვიყენებ კომპიუტერულ ან ინტერნეტ სერვისს

**10. ბიბლიოთეკაში თქვენთვის სასურველი მასალის მოსაძებნად რომელ მეთოდს მიმართავთ**

ა. ვეძებ ბეჭდურ კატალოგში

ბ. ვეძებ ელექტრონულ კატალოგში უნივერსიტეტის ვებგვერდიდან

გ. მივმართავ პირდაპირ ბიბლიოთეკარს

**11. თქვენთვის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა წარმოადგენს ადგილს**

ა. ცოდნის მიღებისა და/ან კვლევების განხორციელებისთვის

ბ. ინტერნეტით სარგებლობისათვის და კომპიუტერული სამუშაოებისთვის

ბ. დროის მოსაკლავ და გასართობ ადგილს

**12. ჩამოთვლილთაგან რომელი რესურსით სარგებლობთ უმეტესწილად ბიბლიოთეკაში**

ა. ბეჭდური წიგნები

ბ. ელექტრონული წიგნები

გ. სამეცნიერო ბაზები

დ. პერიოდული გამოცემები

ე. ინტერნეტით და კომპიუტერული მომსახურებით

**13. რამდენად ხშირად სარგებლობთ უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული ელექტრონული სამეცნიერო ბაზებით?**

ა. ხშირად

ბ. იშვიათად

გ. არასდროს

დ. არც მსმენია ასეთი ბაზების არსებობის შესახებ

ე. ვსარგებლობ, მაგრამ ჩემთვის საჭირო რესურსებზე ღია წვდომა არ მაქვს

**14. რამდენად სწრაფად/ კვალიფიციურად გემსახურებათ ბიბლიოთეკა**

ა. ძალიან სწრაფად/ხარისხიანად

ბ. მეტ-ნაკლებად სწრაფად/ხარისხიანად

გ. ველოდები წიგნს (სხვა მასალას) საათობით

**15. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში რამდენად ხელმისაწვდომია თქვენთვის საჭირო ძირითადი სასწავლო სავალდებულო ლიტერატურა**

ა. ყველა ძირითადი სასწავლო სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია სარგებლობისთვის

ბ. თითქმის ყველა ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია

გ. თითქმის არაფერია

დ. არასდროს დავინტერესებულვარ გამერკვია

**16. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში რამდენად ხელმისაწვდომია თქვენთვის საჭირო დამხმარე სახელმძღვანელო ლიტერატურა**

ა. ყველა დამხმარე სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია სარგებლობისთვის

ბ. თითქმის ყველა დამხმარე ლიტერატურა ხელმისაწვდომია

გ. თითქმის არაფერია



დ. არასდროს დავინტერესებულვარ გამერკვია

**17. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა რამდენად აკმაყოფილებს თქვენთვის საინტერესო მხატვრული ან სხვა თემატიკის ლიტერატურაზე მოთხოვნებს**

ა. ყველა ჩემთვის საინტერესო თემატიკის წიგნი აქვთ

ბ. მეტ/ნაკლებად აქვთ თავისუფალ დროს საკითხავი მხატვრული/შემცნებითი საკითხავი ლიტერატურა

გ. თითქმის არაფერია

დ. არასდროს დავინტერესებულვარ გამერკვია

**18. რომელი თქვენთვის საჭირო/საინტერესო ფონდის/კოლექციის გამდიდრებას ისურვებდით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. შემოხაზეთ პრიორიტეტულობის მიხედვით ძალიან პრიორიტეტულია 1 --- უმნიშვნელოა 5**

სამართლი 1 2 3 4 5

ბიზნესი და ეკონომიკა 1 2 3 4 5

მედიცინა 1 2 3 4 5

ჰუმანიტარული მეცნიერებები 1 2 3 4 5

სოციალური მეცნიერებები 1 2 3 4 5

ტექნიკური მეცნიერებები 1 2 3 4 5

მხატვრული ლიტერატურა 1 2 3 4 5

ფილოსოფია 1 2 3 4 5

სხვა (მიუთითეთ)----- 1 2 3 4 5

ელექტრონული სამეცნიერო ბაზები 1 2 3 4 5

გთხოვთ, მიუთითოთ თქვენთვის სასურველი ბაზა/ბაზები -----

**19. რამდენად მოგწონთ ახალი ბიბლიოთეკის სივრცის განაწილების კონცეფცია**

ა. მომწონს

ბ. მეტ-ნაკლებად მომწონს

გ. არ მომწონს

**20. რამდენად ხშირად სარგებლობთ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზით**

ა. ყოველდღიურად

ბ. კვირაში ერთხელ ან ორჯერ

გ. თვეში ერთხელ

დ. მხოლოდ შუალედური და ფინალური გამოცდების პერიოდში

ე. არასდროს

**21. რამდენად მოსახერხებელია სამკითხველო დარბაზი ინდივიდუალური მუშაობისთვის**

ა. მოსახერხებელია

ბ. მეტ-ნაკლებად მოსახერხებელია

გ. მოუხერხებელია

**22. რამდენად კომფორტულია სამკითხველო დარბაზი ჯგუფური შეხვედრებისა და მუშაობისთვის**

ა. მოსახერხებელია

ბ. მეტ-ნაკლებად მოსახერხებელია

გ. მოუხერხებელია

**23. გქონიათ შემთხვევა გსურდათ ბიბლიოთეკაში მუშაობა, მაგრამ საკმარისი ადგილები არ აღმოჩნდა სამკითხველო დარბაზში ინდივიდუალური ან ჯგუფური მუშაობისთვის**

ა. ყოველთვის არის საკმარისი თავისუფალი ადგილები

ბ. არასდროს არის თავისუფალი ადგილები

გ. დროის გარკვეულ პერიოდში ან გარკვეულ საათებში ყველა ადგილი დაკავებული მხვდება

დ. ყოველთვის დაკავებულია



24. გქონიათ შემთხვევა გსურდათ ბიბლიოთეკაში მუშაობა, მაგრამ საკმარისი ადგილები არ აღმოჩნდა კომპიუტრებითან
- ა. ყოველთვის არის თავისუფალი ადგილები
  - ბ. არასდროს არის თავისუფალი ადგილები
  - გ. დროის გარკვეულ პეროდში ან გარკვეულ სათებში ყველა ადგილი დაკავებული მხვდება
  - დ. ყოველთვის დაკავებულია
25. ერთიდან ხუთამდე ციფრით შეაფასეთ რამდენად კვალიფიციურად გემსახურებთ ბიბლიოთეკის მომსახურე პერსონალი
- 1 2 3 4 5
26. ერთიდან ხუთამდე ციფრით შეაფასეთ რამდენად მეგობრული/კეთილგანწყობილი გარემოა ბიბლიოთეკაში
- 1 2 3 4 5

*გაგვიზიარეთ კომენტარების სახით*

*რას მიიჩნევთ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ძლიერ მხარედ?*

---

*რას მიიჩნევთ ბიბლიოთეკის სუსტ მხარედ?*

---

*რომელი სერვისის დანერგვას /გაუმჯობესებას ისურვებდით ბიბლიოთეკაში*

---

*ხომ არ გსურთ თქვენი მოსზრებების /რეკომენდაციების გაზიარება სხვა ისეთ საკითხებზე, რაც კითხვარში არ წერია, მაგრამ ფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანია*

---

*მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის*